

სამეურვეო საბჭოს განცხადება

ევროპის მაუწყებელთა კავშირის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ ერთობლივად დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის შესრულების სხვადასხვა ეტაპზე წარმოქმნილმა ხარვეზებმა საზოგადოებრივ მაუწყებელში გამოიწვია მართვის კრიზისი.

ამის გათვალისწინებით, სამეურვეო საბჭომ დააკმაყოფილა გენერალური დირექტორის, გია ჭანტურიას განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

საბჭო მადლობას უხდის ბატონ ჭანტურიას გაწეული სამუშაოსათვის იმ რთული პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა და მიიჩნევს, რომ მისი ხელმძღვანელობით დაწყებული მაუწყებლის რეფორმირებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების პროცესი კვლავაც გაგრძელდება.